საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - სს „თ. ბ.“

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: რ. ქ; ადვოკატი ც. ქ. /სიითი №/; ადვოკატი თ. რ. /სიითი №/; ადვოკატი დ. ქ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი 058/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ზ. ბ.-ს მიმართ /სიითი №/; ადვოკატ თ. ბ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ბ.-სა და ადვოკატ თ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 15 ივლისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა სს „თ. ბ.“-მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. ბ.-სა და ადვოკატ თ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატები ზ. ბ. და თ. ბ. წარმომადგენლობას უწევენ სს „თ. ბ.“-ს აქციონერს დ. წ.-ს, სს „თ. ბ.“-სთან არსებულ სამართლებრივ დავებში. აღნიშნული

დავების ფარგლებში, ადვოკატები სს „თ. ბ.“-ს წარმომადგენელებზე გვერდის ავლით, კომუნიკაციას ამყარებდნენ მოწინააღმდგე მხარესთან. კერძოდ, ადვოკატები უკავშირდებოდნენ სს „თ. ბ.“-ის გენერალურ დირექტორს - ვ. ბ.-სა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რადგან ზ. ბ. და თ. ბ. თვლიდნენ, რომ სს „თ. ბ.-ს“ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია არაგონივრული იყო.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენლების მიერ ადვოკატთა გაფრთხილების მიუხედავად, მათ მრავალჯერადი კომუნიკაცია ჰქონდა მოწინააღმდეგე მხარესთან, ელ.ფოსტის მეშვეობით. ზ. ბ. და თ. ბ. ცდილობდნენ მხარის წარმომადგენლობის უგულებელყოფას, კონკრეტულად - სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენლის დ. ქ.-ის მიერ გაგზავნილ მეილებზე ადვოკატები დემონსტრაციულად პასუხს უბრუნებდნენ არა ისევ წარმომადგენლებს, არამედ სს „თ. ბ.“-ის დირექტორს - ვ. ბ.-სა და სს „თ. ბ.“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ბ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატების მიერ არაკოლეგიალურობის კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენს, რომ მათ სს „თ. ბ.“-ის დირექტორს, ვ. ბ.-ს „WhatsApp“-ის გამოყენებით წერილობით მიმართეს და შესთავაზეს წარმომადგენლების გვერდის ავლით შეხვედრა და საქმესთან დაკავშირებით პირისპირ საუბარი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა ზ. ბ.-მა და თ. ბ.-მ, სს „თ. ბ.“-სთან წერილობით კომუნიკაციაში გამოხატეს მეორე მხარის წარმომადგენლების მიმართ უპატივცემულობა და ცინიკური დამოკიდებულება, კერძოდ, 24.05.2022-30.05.2022 წელს დ. ქ.-სთვის გაგზავნილ მეილებში ადვოკატები დამცინავად აკეთებენ აქცენტს მეილის ტექნიკურ გაუმართაობაზე, ხოლო მეილის შინაარსობრივ მხარეზე მიუთითებენ, რომ „ადრესატის რეალობის აღქმა შორს არის ადეკვატურობისგან“.

1.6 მოპასუხე ადვოკატები სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენელებს არაკოლეგიალურად მოიხსენიებენ სს „თ. ბ.“-ის დირექტორთან წერილობითი კომუნიკაციის დროსაც. კერძოდ, მათ უწოდებენ: „არაადეკვატურებს“, „არაპროფესიონალებსა“, „არაკომპეტენტურებს“; მათ მომზადებულ დოკუმენტს კი უწოდეს - „ფართხა-ფურთხით მომზადებული სარჩელი“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატებმა ზ. ბ.-მა და თ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინეს 2022 წლის 2 აგვისტოს, სადაც მიუთითეს, რომ სს „თ. ბ.“-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატთა განმარტებით, სს „თ. ბ.“ არ არის საჩივრის წარმოდგენაზე უფლებამოსილი პირი, რადგან საჩივარში აქცენტები გაკეთებულია არაკოლეგიალურ დამოკიდებულებაზე სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენლების მიმართ. კოლეგების პატივისცემის ვალდებულების ადრესატები და მოთხოვნის მფლობელები არიან ადვოკატები, შესაბამისად, საჩივარი უშუალოდ სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენლების სახელით უნდა იყოს შემოტანილი და არა სს „თ. ბ.“-ის მიერ.

2.3 ადვოკატთა განმარტებით, სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენლების მიმართ გაკეთებული შეფასებები - „არაადეკვატურები“, „არაპროფესიონალები“, „არაკომპეტენტურები“ და „ფართხა-ფურთხით მომზადებული სარჩელი“ არ არის შეურაცხმყოფელი შინაარსის და წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას და არის აზრის გამოხატვის დასაშვებ ფარგლებში გამოთქმული მოსაზრება.

2.4 ადვოკატთა განმარტებით, მათი მხრიდან ნათქვამი სიტყვა „არაადეკვატურობა“ არ მიემართებოდა მათ კოლეგებს და მიემართებოდა ფაქტს - კონკრეტულ მოვლენას. კოლეგებისათვის არასოდეს უთქვამთ სიტყვები „არაკვალიფიციური“; „არაადეკვატური“, თუმცა შესაძლოა თქვეს ფრაზა - „არაკვალიფიციური იყო კორპორაციული მართვა“, რაც წარმოადგენს ფაქტის შეფასებას.

2.5 ადვოკატთა განმარტებით, მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სს „თ. ბ.“-ის ადვოკატებზე გვერდის ავლით მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციას, რადგან დ. წ.-სა და სს „თ. ბ.“-ს შორის არსებულ სამართლებრივ დავებში, სს „თ. ბ.“-ის ინტერესებს იცავდნენ როგორც აქციონერის წარმომადგენლები და არა როგორც ადვოკატები. გარდა ამისა, სს „თ. ბ-ის“ მიერ განცხადებაში მითითებული პირები: ც. ქ. , დ. ქ. და თ. რ. წარმოადგენენ სს „თ. ბ.“-ის თანამშრომლებს და არა მის ადვოკატებს, ხოლო თ. ი. და ლ. ზ. სს „თ. ბ.“-ს წარმოადგენდნენ მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად, ადვოკატები ზ. ბ. და თ. ბ. მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას კომუნიკაცია ჰქონოდათ სს „თ. ბ.“-ის ადვოკატებთან.

2.6 ადვოკატთა განმარტებით, სს „თ. ბ.“-ის დირექტორთან - ვ. ბ.-სთან და სს „თ. ბ.“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა. ბ.-თან კომუნიკაცია ჰქონდათ, როგორც სს „თ. ბ.“-ის აქციონერის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირებს, ხოლო აქციონერის ურთიერთობა კორპორაციულ ურთიერთობებში არ არის საადვოკატო საქმიანობა. ამასთან, სს „თ. ბ.“-სთან კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ელექტრონული მისამართი (---), რაზეც წვდომა აქვს სს „თ. ბ.“-ის იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამისად ისინი საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას უზიარებდნენ არა მხოლოდ სს „თ. ბ.“-ის დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, არამედ სს „თ. ბ.“-ის იურიდიულ დეპარტამენტსაც.

2.7 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე ადვოკატებმა დამატებით განმარტეს, რომ ფაქტები, რომლებსაც ეყრდნობა საჩივარი, არის არასრული და არასწორი. ადვოკატმა თ. ბ.-მ განმარტა, რომ მან პირადი გადაწყვეტილებით განახორციელა ის კომუნიკაცია, რომელსაც საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის და ამ კუთხით პრეტენზია არ უნდა შეეხოს ადვოკატ ზ. ბ.-ს.

2.8 ადვოკატთა განმარტებით, კომუნიკაცია ხდებოდა აქციონერსა და იმ სააქციო საზოგადოების დირექტორს შორის, რომელსაც წარმოადგენს აქციონერი, აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე რომ თითქოს აქციონერი სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა დაუკავშირდეს ადვოკატს, არის წარმოუდგენელი საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

2.9 ადვოკატთა განმარტებით, კომუნიკაციის ორივე ნაწილი - (საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატთა მიერ წარმოდგენილი) ეხება იმ კომუნიკაციას, როდესაც აქციონერი აცნობებს კომპანიას მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მეილში ჩასმა აუცილებელი იყო, რადგან ა. ბ.-სთან კომუნიკაცია საჭირო იყო მისთვის გადაწყვეტილებების მისაწოდებლად. მეილის ადრესატი ასევე იყო ს. ე. ბ. რადგან როდესაც მიმდინარეობდა აქციონერის გარიცხვის შესახებ სასამართლო დავა, ადვოკატებმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს, რომ დაენიშნათ დროებითი მმართველი. სასამართლომ განუმარტათ, რომ ეს არ იყო საადვოკატო დავის ნაწილი, ბანკს ყავს თავისი აღმასრულებელი ორგანო და აქციონერს, რომელსაც სურს დროებითი მმართველის დანიშვნა შესაბამის კომპანიაში, ეს უნდა განახორციელოს ცალკე - როგორც აქციონერმა უნდა მიმართოს ე. ბ.-ს. სასამართლოს განმარტების თანახმად, მათ, როგორც დ. წ.-ის წარმომადგენლებმა, მიმართეს ე. ბ.-ს, რომ დაენიშნა დროებითი მმართველი. ნებისმიერი კომუნიკაცია ეხებოდა ამ საკითხს.

2.10 ადვოკატთა განმარტებით, „თ. ბ.-ს“ წარმომადგენლად ერთ-ერთ საქმეში ჰყავს ადვოკატი თ. ი. რომელიც ესწრებოდა მხოლოდ ერთ შეხვედრას, სხვა შეხვედრებს არა. სს „თ. ბ.”-მა გადაწყვიტა, რომ მის აქციონერთან თავად, ადვოკატის ჩართულობის გარეშე ეწარმოებინა მოლაპარაკება, უშუალოდ დ. წ.-სთან და რადგან იცოდა რომ ადვოკატები - ზ. ბ. და თ. ბ. იყვნენ აქციონერის წარმომადგენლები, ამიტომ იყო ეს კომუნიკაცია პირდაპირი და უშუალო.

2.11 ადვოკატთა განმარტებით, ვ. ბ.-სთან შეხვედრამდე გაიმართა აქციონერთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ აქციონერის წარმომადგენლების სტატუსით. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ დ. ქ. „ბ.-ს“ წარმომადგენელი და თავად ვ. ბ. რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა. კრებაზე მათი უფლებამოსილება ცნეს, როგორც აქციონერის წარმომადგენელების და არა როგორც ადვოკატების. კრების შემდეგ, როგორც აქციონერს, მათ აცნობეს დ. წ.-ს, რა მოცემულობაც იყო. დ. წ.-ის დავალებით, ადვოკატებს - აქციონერის სახელით უნდა ეცადათ კომუნიკაცია ვ. ბ.-სთან. ვ. ბ.-მ უთხრათ, რომ შესაძლოა მას კომუნიკაციისას ვერ შეერჩია სათანადო სიტყვები და შეხვედრას დაესწრებოდა დ. ქ.-ც. შესაბამისად, მხარეთა შორის შედგა კომუნიკაცია, რომელსაც ესწრებოდა დ. ქ.-ც. შეხვედრისას მხარეთა შორის წარიმართა დიალოგი, რომ როგორმე შეთანხმებულიყვნენ და მომხდარიყო მოლაპარაკება. ამავე შეხვედრისას ვ. ბ.-მ გამოთქვა სურვილი, რომ პირადად შეხვედროდა დ. წ.-ს. კლიენტმა განმარტა, რომ ჰქონდა კონკრეტული მოთხოვნა თანხასთან დაკავშირებით. თ. ბ.-მ ეს პოზიცია გადასცა ვ. ბ.-ს. ეს იყო მხარეთა შორის განხორციელებული მთელი კომუნიკაცია. შეხვედრის თემები არ ეხებოდა იმ საკითხებს, რაც მხარეთა შორის არის დავის საგანი სასამართლოში.

2.12 ადვოკატებმა განმარტეს, რომ მათ კლიენტისაგან აქვთ ორი სახის მინდობილობა მიღებული: 1. ზოგადი მინდობილობა; 2. მინდობილობა, სადაც აღჭურვილნი არიან აქციონერის სრული უფლებამოსილებით; ადვოკატთა განმარტებით, კომუნიკაციის ნაწილი წარმოადგენდა შიდა კორპორაციულ მიმართულებას. კომუნიკაცია ადვოკატის გვერდის ავლით კლიენტთან არ

განხორციელებულა, რადგან კომუნიკაცია განხორციელდა ვ. ბ.-სთან, რომელიც არ არის ამ ადვოკატის კლიენტი.

2.13 ადვოკატ ზ. ბ.-ის პოზიციით, მას 2022 წლის 13 და 23 ივნისს კომუნიკაცია ჰქონდა შპს „თ. კ.“-სთან, რომელიც არის სს “თ. ბ.“-ის შვილობილი კომპანია, საბროკერო კომპანია, რომელიც არის დ. წ.-ის აქციების ნომინალური მფლობელი. შესაბამისად, მან როგორც დ. წ.-ის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ გადასცემოდა ამონაწერი დ. წ.-ის საბროკერო ანგარიშიდან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; ადვოკატი თ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 სს „თ. ბ.“-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 15 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატების ზ. ბ.-სა და თ. ბ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატებს ზ. ბ.-სა და თ. ბ.-ს აქვთ ადვოკატის გვერდის ავლით კომუნიკაცია მოწინააღმდეგე მხარესთან და ამ კომუნიკაციის დროს, ადვოკატები შეურაცხყოფას აყენებენ კოლეგებს;

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.“ ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: „ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი

საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.2 საჩივრის ავტორი, სს „თ. ბ.“, რომელიც წარმოადგენს სასამართლო დავის მხარეს, რომელიც სადავოდ ხდის პროცესუალური მოწინააღმდგე მხარის, მინორიტარი აქციონერის დ. წ.-ის ადვოკატების, ზ. ბ.-სა და თ. ბ.-ს პროფესიულ ქცევას. კერძოდ, ადვოკატმა ზ. ბ.-მა და ადვოკატმა თ. ბ.-მ, სს „თ. ბ.-სთან“ წერილობით კომუნიკაციაში გამოიხატეს მეორე მხარის წარმომადგენლების მიმართ უპატივცემულობა და ცინიკური დამოკიდებულება, კერძოდ: ადვოკატ დ. ქ.-სთვის გაგზავნილ მეილებში ადვოკატები - დამცინავად აკეთებენ აქცენტს მეილის ტექნიკურ გაუმართაობაზე, ხოლო მეილის შინაარსობრივ მხარეზე მიუთითებენ, რომ „ადრესატის რეალობის აღქმა შორს არის ადეკვატურობისგან“. მოპასუხე ადვოკატები სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენელებს არაკოლეგიალურად მოიხსენიებენ სს „თ. ბ.“-ის დირექტორთან წერილობითი კომუნიკაციის დროსაც. კერძოდ, მათ უწოდებენ: „არაადეკვატურებს“, „არაპროფესიონალებსა“ და „არაკომპეტენტურებს“, ხოლო დოკუმენტთან დაკავშირებით განმარტეს, რომ ეს იყო „ფართხა-ფურთხით მომზადებული სარჩელი“. საჩივრის ავტორის პოზიციით, აღნიშნული ქცევით ადვოკატებმა დაარღვიეს კოლეგიალობის პრინციპი.

5.2 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიით, ადვოკატები თ. ბ. და ზ. ბ. სს „თ. ბ.“-ის წარმომადგენლებზე გვერდის ავლით, კომუნიკაციას ამყარებდნენ მოწინააღმდგე მხარესთან. კერძოდ, ადვოკატები უკავშირდებოდნენ სს „თ. ბ.“-ის გენერალურ დირექტორს - ვ. ბ.-სა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

5.3 კოლეგიის განმარტებით, ადვოკატებს ზოგადი მინდობილობა მიღებული აქვთ 2020 წლის 17 აგვისტოს; ადოკატებმა, როგორც აქციონერის წარმომადგენლებმა მინდობილობა მიიღეს 2021 წლის 09 დეკემბრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ბ. და თ. ბ. წარმოადგენენ აქციონერის ინტერესესს კონკრეტული მინდობილობის საფუძველზე, მათზე, როგორც ადვოკატებზე, ვრცელდება ეთიკის კოდექსის მოქმედება.

5.4 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას იდაოს ადვოკატის ქცევის ეთიკურობაზე, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები. საჩივარი შემოტანილია მოწინააღმდეგე მხარის, სს მიერ, რომელიც ადვოკატებს ედავება კოლეგიალობისა და მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის წესის დარღვევას.

ეთიკის კოდექსი, მუხლი 7: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“

ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“

ეთიკის კოდექსი, 10.4 მუხლი: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია,

რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება".

5.5 ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორს წარმოადგენს სს „თ. ბ." ადვოკატების კოლეგებს ეთიკის კომისიისათვის საჩივრით არ მიუმართავთ. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით მოწინააღმდეგე მხარის საჩივრის შემდგომი განხილვისათვის არსებითია საჩივრის ავტორმა დაასაბუთოს ადვოკატთა ქმედებით როგორ დაირღვა მისი უფლებები და რა ზიანი მიადგა მას.

5.6 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კოდექსის 7 და 10.1 მუხლის ცალსახა ადრესატია - კოლეგა, ადვოკატი. ასევე, კოდექსის 10.4 მუხლიც არეგულირებს კოლეგებს შორის ურთიერთობას, თუმცა, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, ნორმა განმარტებულია ვრცლად და კომისია მის მოქმედებას ავრცელებს არა მხოლოდ კოლეგებზე, არამედ მოწინააღმდეგე მხარის მიმართაც. ადვოკატს ევალება დაიცვას კომუნიკაციის სტანდარტი - არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს მისი ადვოკატის გვერდის ავლით. როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს ადვოკატთან უჩნდება პრეტენზია, ის უფლებამოსილია მომართოს კოლეგიას და იდავოს ადვოკატის ქმედებაზე იმ შემთხვევაში, თუ მიაჩნია, რომ ამ კომუნიკაციის მას მიადგა ზიანი. საჩივრის ავტორი, სს „თ. ბ." არ დავობს, რომ მას ადვოკატ ზ. ბ.-სა და ადვოკატ თ. ბ.-ს მიერ მიადგა ზიანი. საჩივრის ავტორი ერთობლიობაში უთითებს ფაქტს, რომ ზ. ბ.-მა და თ. ბ.-მ განახორციელეს კომუნიკაცია მისი ადვოკატების გვერდის ავლით და ამ კომუნიკაციის დროს, გამოიჩინეს ადვოკატების მიმართ უპატივცემულობა.

5.7 ეთიკის კომისიამ შეაფასა მხარის პრეტენზია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიმართ: სადაც დადგინდა, რომ მხარესთან კომუნიკაციისას, ადვოკატის ლექსიკა, ფრაზეოლოგიის კონტექსტი და მიზანი, ცდებოდა მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტს და კლიენტის ინტერესის დაცვაზე უპირატესად, გამოხატული იყო მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხყოფის მიზანი (ეთიკის კომისიის 2022 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N097/18).

5.8 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოისმინა მხარეთა პოზიციები, შეამოწმა საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატის პროფესიული ქცევით უკმაყოფილო პირის უფლებამოსილება ადვოკატთა მიმართ გამოხატულ პრეტენზიასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სს „თ. ბ." არ არის უფლებამოსილი პირი იდავოს ადვოკატების ზ. ბ.-სა და თ. ბ.-ს პროფესიულ ქცევაზე.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების" 9.1 (გ) მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №058/22 ადვოკატების ზ. ბ.-სა /სიითი №/ და თ. ბ.-ს /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/